PDF Eraser Free

დანართი №1

გაᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ელექტროობა“, „სატყეო საქმე“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „მებოსტნე“- მონიტორინგის შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: მაია თოიძე

**წევრები:**

ალექსანდრე კეკენაძე

ნათია იორდანიშვილი

თამარ ახალაძე

მაია ხურცილავა

მაგული მებონია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

*ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):*

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

**მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ელექტროობა | 30 ( მათ შორის, 15 ინტეგრირებული) | 9 (არაინტეგრირებულ პროგრამაზე) | 0 |
| ბუღალტრული აღრიცხვა | 40 | 8 | 0 |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 40 ( მათ შორის, 20 ინტეგრირებული) | 32 (არაინტეგრირებულ პროგრამაზე) | 0 |
| სატყეო საქმე | 40 ( მათ შორის, 20 ინტეგრირებული) | 7 (არაინტეგრირებულ პროგრამაზე) | 0 |
| მეგზოსტნე | 40 | 0 | 0 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

ადმინისტრაციული წარმოების მიზანია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 08 თებერვლის №MES 7 22 0000120618 ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,ელექტროობის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, ,,სატყეო საქმის" რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „მებოსტნე“ (განხორციელების ადგილი: ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 ) - ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ზ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე (ოქმი №590212; 17. 06. 2021).

წინა ვიზიტების ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერ დადასტურდა, რომ ,,ელექტროობის“, ,,სატყეო საქმის, ,,მებოსტნის“, ,,ბუღალტრული აღრიცხვისა“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და დაწესებულების მიერ წარდგენილი შესაბამისობის გეგმების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფების მიერ პროგრამები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. დაწესებულებამ ყველა პროგრამასთან მიმართებაში მიიღო რეკომენდაცია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისობაში მოსულიყო მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის პირველ კრიტერიუმთან და საბჭოს შუამდგომლობით ჩაინიშნა მონიტორინგები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, ცენტრის დირექტორის 2022 წლის 08 თებერვლის №MES 7 22 0000120618 ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, შეისწავლეს დაწესებულების მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია: პროგრამების მატერიალურ - ტექნიკური ბაზების შესყიდვების ხელშეკრულებები, პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეები, პროგრამების ბიუჯეტები, ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგების თაობაზე, წინა ვიზიტების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად. ექსპერტები გაეცნენ ზემოაღნიშნული პროგრამების დამატების თაობაზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებს და წინა ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში გაცემულ შესაბამისობისა და განმავითარებელ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფს დამატებითი დოკუმენტაცია ვიზიტამდე არ გამოუთხოვია, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოება წარიმართა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში და იყო შესაძლებლობა ადგილზე შეესწავლათ ის დოკუმენტაცია რაც საჭირო იყო მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის შვიდივე ინდიკატორის შესაფასებლად. ასევე, წინა ვიზიტების ფარგლებში გაცემული იმ რეკომენდაციების შესრულების შესაფასებლად, რომელთაც აქვთ ბმა მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტთან.

ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის განრიგი (დანართი №1). 2022 წლის 14 თებერვალს დაიგეგმა ,,ელექტროობისა“ და ,,სატყეო საქმის“ პროგრამების, ხოლო 2022 წლის 15 თებერვალს - ,,ბუღალტრული აღრიცხვის“, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და ,,მებოსტნის“ პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მონიტორინგი. ყველა ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელების ადგილს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119.

უნდა აღინიშნოს, რომ ,,ელექტროობისა" და ,,სატყეო საქმის" პროგრამების დარგის ექსპერტები 2022 წლის 13 თებერვალს გადავიდნენ თვითიზოლაციაში და ისინი დისტანციურად იყვნენ ჩართულნი ვიზიტის პროცესში. მათ მიერ, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა ,,ელექტროობისა" და ,,სატყეო საქმის" პროგრამების სასწავლო გარემოთა და აღჭურვილობის დათვალიერება, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამების განმახორციელებლებთან. ელექტროობის დარგის ექსპერტი, საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე გაესაუბრა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ვიზიტის პროცესში პირისპირ კომუნიკაცია შედგა უსდ-ს რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე, შესყიდვებზე პასუხისმგებელ პირებთან, სამცხე - ჯავახეთის უნივერსიტეტის მესამე კორპუსის (ახალქალაქის მისამართი) ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან.

მონიტორინგის პროცესი ,,ელექტროობისა" და ,,სატყეო საქმის" პროგრამებზე წარიმართა შეფერხებით შემდეგი გარემოებების გამო: დაწესებულებას შესყიდული ინვენტარი ჰქონდა დასაწყობებული. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით არ იყო მოწყობილი სასწავლო ფართები (მერხი, სკამი, კომპიუტერი და ა. შ). ასევე, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აზრს მოკლებული იყო დარგის ექსპერტთა მიერ კონკრეტული აღჭურვილობის დათვალიერების მოთხოვნა, ვინაიდან რესურსის ნაწილი წინა საღამოს ჩაიბარეს და თავადაც არ ფლობდნენ ზუსტ ინფორმაციას რომელ ყუთში რა ნივთი იყო განთავსებული. ასევე, გამოიკვეთა, რომ ვინაიდან პროგრამებზე შესყიდვების პროცედურები არ იყო დასრულებული და ელოდებოდნენ ახალი ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნდა განთავსდეს ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების წარმომადგენელი არამიზანშეწონილად მიიჩნევდა სასწავლო გარემოთა იმ შენობაში მოწყობას, რომელიც დროებითია. მატერიალური რესურსის შეძენის შეფერხება კი გამოწვეული იყო იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შესყიდვებისთვის საჭირო თანხა დაწესებულებამ მიიღო 2021 წლის 27 დეკემბერს. მტკიცებულებად წარმოდგენილია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ უსდ-თვის 539, 1037 (ხუთას ოცდაცხრამეტი ათას ათას ოცდაჩვიდმეტი) ლარის ჩარიცხვის საგადახდო დავალებები.

არსებულ ვითარებაში პროგრამების სასწავლო გარემოთა და მატერიალური რესურსის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო და დაწესებულებას ეთხოვა პროგრამების შესაბამისად მოეწყოთ ფართები, რაც მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნა (თუმცა არა სრულყოფილად). ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტებმა ,,ელექტროობისა“ და ,,სატყეო საქმის“ პროგრამების შეფასება დაასრულეს 15 თებერვალს.

რაც შეეხება, ,,ბუღალტრული აღრიცხვის“, ,,მებოსტნისა“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამებს, ვიზიტი წარიმართა გეგმის შესაბამისად. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა სრულფასოვნად შეეფასებინათ ყველა ინდიკატორი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას გააჩნია ცენტრალური გათბობა, რომელიც ვიზიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა. უსდ -ს წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში როგორც პროფესიულ, ასევე, საბაკალავრო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში, შესაბამისად, ცენტრალურ გათბობას არ რთავენ. ,,ელექტროობის“ პროგრამის ხელმძღვანელთან კომუნიკაციისას კი გამოიკვეთა, რომ ის პერიოდულად, შაბათ დღეს მეცადინეობებს ატარებს დაწესებულებაში. აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა მიაწოდა რექტორს, შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რეაგირების მიზნით. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ დაწესებულებას პანდუსი გააჩნია მხოლოდ პირველი სართულისათვის. აქვეა მოწყობილი ადაპტირებული სანიტარული კვანძები. ამ ეტაპზე პირველ სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრულია მხოლოდ ორი სასწავლო გარემო, ყველა სხვა ფართი, მათ შორის, ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი, მდებარეობს შენობის მეორე და მესამე სართულებზე. უსდ- ს წარმომადგენლის განმარტებით, თუკი რომელიმე პროგრამაზე ჩაირიცხება ეტლით მოსარგებლე, უზრუნველყოფენ სასწავლო გარემოთა პირველ სართულზე მოწყობას (საგანმანათლებლო რესურსი კი სრულად გაციფრულებულია). თუმცა ამის საჭიროება ამ ეტაპზე არ დგას. არც ერთ პროგრამაზე არ ჰყავთ ეტლით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტი, ხოლო შემდეგი მიღებისათვის სასწავლო პროცესი უკვე ახალ შენობაში წარიმართება, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას წინა ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში გაცემული **შესაბამისობის რეკომენდაციები სრულად შესრულებული ჰქონდა მხოლოდ *„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის ფარგლებში, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“,*** ყველა სხვა პროგრამის ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაცია სრულყოფილად არ იყო შესრულებული, არ იყო დასრულებული სასწავლო გარემოთა მოწყობა ან/და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შესყიდვების პროცედურები. ***ამასთან, არ იყო წარმოდგენილი „შესაბამისობის გეგმები“. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „სატყეო საქმე" რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და „მებოსტნის“ პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც - „არ შეესაბამება“.***

**თუმცა არგუმენტირებული პოზიციით, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 24 თებერვლის №MES 3 22 0000193236 კორესპონდენციით, უნივერსიტეტი აცხადებს მზაობას ოთხივე ზემოაღნიშნული პროგრამა 2. 2 კომპონენტთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისობაში მოიყვანოს მაქსიმუმ 6 თვის პერიოდში ( ვადები პროგრამების მიხედვით განსხვავებულია). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ყველა პროგრამის ფარგლებში იდენტიფიცირებული ხარვეზების შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. კონკრეტულ აქტივობებთან და ვადებთან ერთად, გეგმა მოიცავს ინფორმაციას ფინანსური რესურსის თაობაზე.

*შესწავლილი იქნა წარმოდგენილი გეგმა და ის გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ,,ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ,,სატყეო საქმე" რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და „მებოსტნის“ პროგრამა შეფასებულია როგორც ,,მეტწილად შესაბამისი (კონკრეტულად იხილეთ პროგრამების შეფასების 2.2.1 კომპონენტის აღწერილობითი ნაწილი).*

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამები ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტთან მიმართებაში არ იყო ,,სრულად შესაბამისი“ და პროგრამებზე (გარდა ,,მებოსტნის“ პროგრამისა’) ჩარიცხულია პროფესიული სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საკითხი, რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და მატერიალური რესურსების შესყიდვის შეფერხებამ რა გავლენა მოახდინა სტუდენტთა მიერ მიმდინარე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევაზე. საკითხი შესწავლილი იქნა ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამასთან მიმართებაშიც, ვინაიდან სასწავლო გარემოს მოწყობაც აღნიშნულ პროგრამაზე ვიზიტის წინა დღეს დასრულდა და სასწავლო პროცესი სრულად დისტანციურად მიმდინარეობდა.

***ბუღალტრული აღრიცხვა*** - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დისტანციურად (8 (რვა) პროფესიული სტუდენტი). ყველა დასრულებული (სამი მოდული) და მიმდინარე მოდულის (ოთხი მოდული) სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დისტანციურად. ასევე, 3 (სამი) სტუდენტი დისტანციურად სწავლობს მოდულს ,,ქართული ენა A2”. შესაბამისად, ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის დისტანციურად განხორციელებას პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი არ შეუფერხებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას პროგრამაში არ აქვს შეტანილი ჩანაწერები, მოდულების სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობის თაობაზე. **შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია.**

*მებოსტნე - პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება.*

***ელექტროობა*** - პროგრამაზე სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს დისტანციურად. არაინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხულია 9 (ცხრა) პროფესიული სტუდენტი. გამონაკლისია მხოლოდ სამი მოდული, რომლებიც განმახორციელებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნაწილობრივ, პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, პერიოდულად ტარდება პარტნიორი კომპანიის ქვესადგურებში. ხოლო ერთი მოდული, ასევე - დაწესებულებაში. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა სტუდენტს აქვს სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

ასევე, 3 (სამი) სტუდენტი დისტანციურად სწავლობს მოდულს ,,ქართული ენა A2”.

***მოდული „უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში“*** - მოდული ხორციელდება პარალელურად დაწესებულების A გარემოსა და პარტნიორი საწარმოს ( ქვესადგური) ბაზაზე. პროგრამისა და პარტნიორ ორგანიზაციასთან (ს.ს ,,ენერგო - პრო ჯორჯია“) გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, აღნიშნული მოდულის განხორციელება გათვალისწინებულია მხოლოდ დაწესებულების ბაზაზე. მემორანდუმით არ არის გათვალისწინებული აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა პარტნიორ კომპანიაში და დაწესებულებებს შორის ოფიციალური შეთანხმებაც დამატებითი მოდულების მათ ბაზაზე განხორციელების თაობაზე არ მოხდარა. შექმნილი ფორს- მაჟორული გარემოებიდან გამომდინარე, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განმახორციელებელს, რომელიც ამავე დროს არის პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომელი ( უფროსი ოსტატი) პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით, ხელმძღვანელობასთან ზეპირსიტყვიერად შეთანხმებით, სტუდენტები მიჰყავდა ქვესადგურის ბაზაზე. მოდული არ არის დასრულებული და განმსაზღვრელი შეფასებებიც არ არის ჩატარებული. მოდული, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების თანახმად, უნდა დასრულებულიყო 2022 წლის 25 თებერვალს, მაგრამ სწავლა შეჩერებული იყო ორი კვირით, შესაბამისად მოდულის დასრულების პერიოდიც გადაიწევს ორი კვირით. ვიზიტის პერიოდისთვის მიმდინარეობდა სწავლება მეხუთე სწავლის შედეგის ფარგლებში, რომლის მიღწევაც შესაძლებელია დაწესებულების ბაზაზე, შესაბამისი სასწავლო გარემოს უმოკლეს ვადაში მოწყობის შემთხვევაში, <u>რომელიც ვიზიტის მომენტისათვის არ იყო უზრუნველყოფილი, თუმცა მისი მოწყობისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ადგილზე არსებობდა.</u> **შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, ვიზიტის მომენტისათვის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მოდულის ყველა სწავლის შედეგის სრულფასოვნად მიღწევისა და მათი დადასტურების შესაძლებლობა შეფერხებული იყო.**

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოდულის მეხუთე სწავლის შედეგი არის - ,,პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა“. ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით არ არის გათვალისწინებული აღნიშნული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი. თუმცა ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო გარემო გათვალისწინებულია ,,სატყეო საქმის“ პროგრამისათვის და დაწესებულებას შეეძლება ის გამოიყენოს ,,ელექტროობის“ პროგრამისთვისაც. ***შესაბამისად, ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია, ,,ელექტროობის“ პროგრამაში შესაბამისი სასწავლო გარემოსა და რესურსის ასახვასთან და მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***მოდულები: „ელექტროტექნიკური მასალები“ და „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“*** - სწავლება მიმდინარეობს დისტანციურად. მოდულების ყველა სწავლის შედეგი არ არის მიღწევადი დისტანციურად. განმახორციელებელთა განმარტებით, სწავლებისას იყენებენ თვალსაჩინო ვიდეომასალას. პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, ისევე როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი პარტნიორ კომპანიაში. განმსაზღვრელი შეფასებები არ არის ჩატარებული. მოდულები, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების თანახმად, უნდა დასრულებულიყო 2022 წლის 25 თებერვალს, მაგრამ ორი კვირით შეჩერებული იყო სწავლება, შესაბამისად აღნიშნული მოდულების დასრულების პერიოდიც გადაიწევს. მოდულისათვის „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“ ყველა რესურსი შეძენილია, შესაბამისად, შესაბამისი ლაბორატორიის (C გარემო) უმოკლეს ვადაში მოწყობის შემთხვევაში, ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლებელია დაწესებულების ბაზაზე მოდულის სწავლების წარმართვა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებაც. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ლაბორატორიის (C გარემო) მოწყობა დასრულებული იქნება 2022 წლის 2 მარტისთვის. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება აღნიშნული მოდულის სრულფასოვნად წარმართვა.

**რაც შეეხება მოდულს „ელექტროტექნიკური მასალები“ დაწესებულებას სრულყოფილად არ აქვს შესყიდული აღნიშნული მოდულის განსახორციელებლად საჭირო რესურსი, შესაბამისად, ვერ დასტურდება სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის და სტუდენტთა შეფასების შესაძლებლობა დაწესებულების ბაზაზე.** ასევე, დაახლოებით 2022 წლის 14 მარტის კვირიდან „ელექტროობის“ პროგრამაზე იწყება მოდული „პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლირების პროგრამირება“. აღნიშნული მოდულის განსახორციელებლად საჭიროა აღჭურვილობის ნაწილი (7 დასახელება) არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესყიდული. შესაბამისად, გამოიკვეთა აღნიშნული მოდულის სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელების საფრთხეც (2.4.1 (1)).

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს 2022 წლის 24 თებერვლიდან მოდულზე ,,ელექტროტექნიკური მასალები“ სწავლის შეჩერებას და მის აღდგენას აღჭურვილობის მოწოდების პერიოდის შესაბამისად. ასევე, გეგმით გათვალისწინებულია ელექტროობის მიმდინარე ჯგუფისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება და მოდულის ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლირების პროგრამირება“ გადატანა მეორე სასწავლო წლის დასაწყისში ( 2022 წლის 09 სექტემბერი), როცა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, უკვე დასრულებული იქნება მოდულისათვის საჭირო რესურსის შესყიდვა. შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია მოდულების მიმდინარეობის ცვლილების ასახვა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ექსპერტები ადასტურებენ, წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით არ შეფერხდება სხვა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შედგა სატელეფონო კომუნიკაცია ელექტროობის პროგრამის პროფესიულ სტუდენტთან, რომელმაც დაადასტურა სწავლების ყველა ფორმის ( დისტანციური სწავლება, შაბათ დღეს დაწესებულებაში სწავლა და ქვესადგურებში ვიზიტები) არსებობა და გამოთქვა სურვილი, რომ დაწესებულებას ჰქონდეს ადგილზე სრულყოფილი ბაზა სწავლებისათვის. მანვე აღნიშნა მასწავლებლების კვალიფიკაციის მაღალი დონე.

*აქვე უნდა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას პროგრამაში არ აქვს შეტანილი ჩანაწერები, მოდულების სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობის თაობაზე და ექსპერტების მიერ შეთავაზებულია განმავითარებელი რეკომენდაცია.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*სატყეო საქმე -* სწავლება სრულად მიმდინარეობს დისტანციურად (7 (შვიდი) პროფესიული სტუდენტი). მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა სტუდენტს აქვს სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. ორი სტუდენტი დისტანციურად სწავლობს მოდულს ,,ქართული ენა A2".

ექსპერტთა შეფასებით მიმდინარე (5 (ხუთი) მოდული) და დასრულებული (4 (ოთხი) მოდული) მოდულებიდან დისტანციურად განხორციელებადია 8 (რვა) მოდული. გამონაკლისს წარმოადგენს მოდული - ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე", რომლის მეორე და მესამე სწავლის შედეგების სრულად დისტანციურად მიღწევა და შეფასება ვერ ხორციელდება. მოდულის განმახორციელებლის განმარტებით, სწავლების დროს დემონსტრირების მიზნით ის ძირითადად იყენებს ვიდეომასალას. დასრულებულ მოდულზე განმსაზღვრებელი შეფასებები ჩატარებულია. შეფასებები ჩატარებულია ელექტრონულად. განმახორციელებლის განმარტებით, ,,პირველად გადაუდებელი დახმარების" მოდულის ყველა სწავლის შედეგი შეაფასა გამოკითხვის მიმართულებით, მაშინ როცა მეორე და მესამე სწავლის შედეგების მიმართულებაა - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. შესაბამისად, ჩატარებული შეფასება ვერ ჩაითვლება ვალიდურად. ***აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების სისტემის ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტთა მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია.*** ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, მოდულის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე" პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფენ დამატებითი მეცადინეობების ჩატარებით და დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტის შეფასებაც დაწესებულების ბაზაზე. ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პერიოდში ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა სრულად იყო შესყიდული. განსაზღვრული იყო გარემოც, რომლის ფართი აკმაყოფილებდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს (არანაკლებ 2 $მ^2$ ერთ პროფესიულ სტუდენტზე), თუმცა ინვენტარი არ იყო სრულად შეტანილი და განმარტეს რომ უმოკლეს ვადაში დაასრულებდნენ მოწყობას.

ისევე როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულებას ,,სატყეო საქმის“ პროგრამაში არ აქვს შეტანილი ჩანაწერები, მოდულების სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობის თაობაზე. ასევე, არ არის ინფორმაცია დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე. ***შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია მოდულებში ასახოს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით გამოყენებული მიდგომები.***

***კომპიუტერული ქსელი და სისტემები*** - პროგრამა ხორციელდება სრულად დისტანციურად. არაინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხულია 32 (ოცდათორმეტი) პროფესიული სტუდენტი. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ყველა სტუდენტს აქვს სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. 14 (თოთხმეტი) პროფესიული სტუდენტი დისტანციურად სწავლობს მოდულს - ,,ქართული ენა A2”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარე 6 (ექვსი) მოდულიდან ყველა განხორციელებადია დისტანციურად. განმსაზღვრელი შეფასებები პროფესიულ მოდულებზე ჩატარებული არ არის. ვიზიტიდან ერთი კვირის პერიოდში სრულდება სწავლა მოდულზე ,,კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“. დარგის ექსპერტის მოსაზრებით, რეკომენდებულია შეფასება ჩატარდეს დაწესებულებაში.

ამასთან, დაწესებულებას პროგრამაში არ აქვს შეტანილი ჩანაწერები, მოდულების სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობის თაობაზე. ასევე, არ არის ინფორმაცია დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე. *შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია მოდულებში ასახოს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით გამოყენებული მიდგომები.*

*ყველა პროგრამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული მიდგომა პროფესიულ პროგრამებზე დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი კონცეფცია და ადმინისტრირების წესი გათვალისწინებულია მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. შესაბამისად, პროფესიული პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც გაძნელებულია სწავლის შედეგების ( პრაქტიკული კომპონენტი) დისტანციურად მიღწევისა და შეფასების შესაძლებლობა, ასევე, არსებული პანდემიური ვითარების გათვალისწინებითაც, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომლითაც დარეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*პროგრამებზე დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის, ადმინისტრირების, დისტანციურად შეფასების ჩატარების საკითხები.*

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ გამოვლენილა.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

*ბუღალტრული აღრიცხვა*

*შესაბამისობის რეკომენდაცია*

2.2.1.(1) - ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** - *შესრულებულია.*

***მებოსტნე***

*შესაბამისობის რეკომენდაცია*

2.2.1.(1). მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის

შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** - *ნაწილობრივ შესრულებულია.* პროგრამისათვის საჭირო აღჭურვილობა უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ განხორციელებული შესყიდვებისა და პარტნიორ საწარმოსთან - შპს ,,ჯავახეთის აგრო კომპანია“ შორის 2021 წლის 27 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, რომელშიც ცვლილება შევიდა 2022 წლის 17 იანვარს და მემორანდუმს დანართის სახით დაემატა მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი. აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას არ აქვს პროგრამით გათვალისწინებული C გარემო - სათბური, რომლის ასაშენებლად საჭირო მატერიალური რესურსი შეძენილია და განთავსებულია დაწესებულებაში.

*განმავითარებელი რეკომენდაცია*

2.2.1 (3). იმისათვის, რომ დარგობრივი პროფესიული მოდულის განმახორციელებელმა უზრუნველყონ პროფესიული

სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება და შეფასება მიზანშეწონილია ჩაუტარდეთ ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** - *შესრულებულია.* პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

***ელექტროობის მოდულური პროგრამა,. რომელშიც ინტეგრირებულია* ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

*რეკომენდაციები:*

**2.2.1.1.** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობის" სრულყოფილად

განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** - *რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ.* მატერიალური რესურსების უმეტესი ნაწილი შესყიდულია. არ არის შესყიდული 12 დასახელების აღჭურვილობა პროფესიული მოდულებისათვის და 21 დასახელების რესურსი ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" (დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.2.1.(1) ინდიკატორში).

2.4.1.(6). ,,ელექტროობის" საგანმანათლებლო პროგრამისთვის C გარემოს მოსაწყობად მიმდინარეობს მატერიალური რესურსის შესყიდვა, შესაბამისად გარემო არ არის მოწყობილი, თუმცა შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია: უსაფრთხოების წესების გასაცნობად შეიქმნას ინსტრუქტაჟის ჟურნალი; უსაფრთხოების წესები გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე; სასწავლო გარემოში გამოიკრას უსაფრთხოების მანიშნებლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სასწავლო კუთხისთვის მთავარი ელ. კვების სადენი მოთავსდეს დახურულ კარადაში და მიმაგრდეს ეტიკეტი ძაბვის აღმნიშვნელი (380 V); დამიწდეს მთავარი კარადა; ქსელში ჩაერთოს გაჟონვის რელე.

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** - *რეკომენდაცია არ არის შესრულებული.* *სასწავლო გარემო არ აკმაყოფილებს სტანდარტით* განსაზღვრულ და ექსპერტთა მიერ გაცემულ შესაბამისობის რეკომენდაციას. ვიზიტის დღეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დარგის ექსპერტს დაათვალიერებინა ალტერნატიული ფართი, რომელიც აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს და გამოთქვა მზაობა მოეხდინა მისი აღჭურვა, რომლის შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ( ეს არის შემდუღებლის მოკლევადიანი პროგრამის ფართი, რომელსაც დაწესებულება აღარ ახორციელებს. ვიზიტის მომენტში მასში ასევე განთავსებული იყო სპორტული ტრენაჟორები).

დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია რეკომენდაცია და უსაფრთხოების წესების გასაცნობად შემუშავებულია ინსტრუქტაჟის ჟურნალი.

2.2.1.(3). სასურველია პროფესიულ მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი
ტრენინგების ორგანიზება.

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** *- შესრულებულია.* პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

*სატყეო საქმის მოდულური პროგრამა,. რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები*

*შესაბამისობის რეკომენდაცია -*

2.2.1.(1)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

*ინფორმაცია შესრულების თაობაზე* - *ნაწილობრივ შესრულებულია.* დაწესებულებას პროგრამისათვის აკლია 21 დასახელების რესურსი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ლაბორატორიისათვის (დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.2.1. (1) ინდიკატორში).

განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.2.1.(3). სასურველი პროფესიულ მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი
ტრენინგების ორგანიზება.

*ინფორმაცია შესრულების თაობაზე* - *შესრულებულია.* პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1.(5). პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. თუმცა ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი თუ პროგრამის რომელ კომპონენტზე (მათ შორის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა) ვინ იღებს პასუხისმგებლობას, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ხელშეკრულებებში შესაბამისი კომპონენტების სრულად აღწერა.

*ინფორმაცია შესრულების თაობაზე* *- შესრულებულია.* განხორციელებულია ცვლილებები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში. 2022 წლის 17 იანვარს ცვლილება შევიდა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შორის 2021 წლის 04 მარტს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში და სატყეო სააგენტოს ბაზაზე მისაღწევად განისაზღვრა მოდულების: ,,გაცნობითი პრაქტიკა“, ,,ხე - ტყის დამზადება“ და ,,საწარმოო პრაქტიკა“ პრაქტიკული კომპონენტი, სააგენტოს კუთვნილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის გამოყენებით.

ასევე, 2022 წლის 17 იანვარსა და 2022 წლის 15 თებერვალს ცვლილებები შევიდა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინდ. მეწარმე გურამ თედორაძეს 9 სანერგე მეურნეობა) შორის 2021 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ მემორანდუმში და პარტნიორის ბაზაზე მისაღწევად განისაზღვრა მოდულების: ,,ტყის აღდგენა - გაშენება“ და ,, ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“ პრაქტიკული კომპონენტი.

***კომპიუტერული ქსელი და სისტემების მოდულური პროგრამა,. რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*შესაბამისობის რეკომენდაცია:*

2.2.1.(1). დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

***ინფორმაცია შესრულების თაობაზე*** *- ნაწილობრივ არის შესრულებული. დაწესებულებას მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღჭურვილობის ნაწილი აქვს შესყიდული. თუმცა სასწავლო გარემოში განთავსებული კომპიუტერების პარამეტრები არ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე, დაწესებულებას შესყიდული არ აქვს ორი დასახელების cisco – ს აპარატურა. რომელიც გამოწერილია და ზუსტად ვერ დგინდება როდის განხორციელდება მათი მიღება-ჩაბარება.* ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" ლაბორატორიის სრულად აღსაჭურვად დარჩენილია 21 დასახელების რესურსი (დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.2.1. (1) ინდიკატორში).

*განმავითარებელი რეკომენდაცია:*

2.2.1.(3). სასურველი პროფესიულ მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

*ინფორმაცია შესრულების თაობაზე - შესრულებულია.* პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ელექტროობა

**2.2.1 (1)** - ,,ელექტროობის" პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მათ შორის, არ არის დასრულებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობა. პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა", რომლის მიხედვით ,,ელექტროობის" პროგრამისათვის სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის, ხოლო აღჭურვილობის შესყიდვა სრულად დასრულდება მაქსიმუმ 6 თვის ვადაში. მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის ( 21 დასახელება) შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 31 მარტს.

შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინდიკატორის აღწერაში).

**2.4.1 (6)** - ვინაიდან 2.2.1 კომპონენტის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო, ასევე, ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,ელექტროობის“ პროგრამისათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის. შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოს უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტის მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინდიკატორის აღწერაში).

მებოსტნეობა

**2.2.1 (1)** - ,,მებოსტნის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო გარემოთი. დაწესებულებას არ აქვს მოწყობილი C გარემო ( სათბური).

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,მებოსტნის“ პროგრამისათვის სათბურის მოწყობა დასრულდება 2022 წლის მაისში ( 5 თვე).

შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოს სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინდიკატორის აღწერაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სატყეო საქმე

**2.2.1 (1) -** ,,სატყეო საქმის" პროგრამით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა", რომლის მიხედვით ,,სატყეო საქმის" პროგრამისათვის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის ( 21 დასახელება) შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 31 მარტს.

შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინდიკატორის აღწერაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპიუტერული ქსელი და სისტემები

2.2.1 (1) - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობა. პროგრამისათვის განსაზღვრული B გარემო ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომ მასში ჩატარდეს ყველა პროფესიული მოდული.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამისათვის სასწავლო გარემოს შეცვლა, არსებული კომპიუტერების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერებით ჩანაცვლება და პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული ორი დასახელების აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 02 მარტს, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვა (21 დასახელება) დასრულდება 2022 წლის 31 მარტს.

შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინდიკატორის აღწერაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ელექტროობა

**2.2.1 (1)** - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით.

**2.2.1 (5)**- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**2.2.1 (6)**- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**2.2.1 (7)** - პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებასა და რენტაბელობის ზღვარის დადგენასთან მიმართებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის ვაუჩერის ოდენობა დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9 $^{2}$ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

**იმის გათვალისწინებით, რომ ,,ელექტროობის“ პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საკითხი, რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა გავლენა მოახდინა სასწავლო გარემოს არარსებობამ და მატერიალური რესურსების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესყიდვის შეფერხებამ ელექტროობის პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიმდინარე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევაზე.

წარმოებული ანალიზის საფუძველზე ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შემდეგ განმავითარებელ რეკომენდაციებს:

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე;
- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე;
- რეკომენდებულია მოდულის „უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში" მეხუთე სწავლის შედეგთან (პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა) მიმართებით ელექტროობის პროგრამაში გაჩნდეს ინფორმაცია იმ სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას (პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო გარემო).

მებოსტნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.2.1 (5)**- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**2.2.1 (6)**- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

***ექსპერტები დაწესებულებას ასევე აძლევენ შემდეგ განმავითარებელ რეკომენდაციებს:***

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე.

**სატყეო საქმე**

**2.2.1** (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით.

**2.2.1 (5)**- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.2.1 (6)-** სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**2.2.1 (7)** - პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებასა და რენტაბელობის ზღვარის დადგენასთან მიმართებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9$^{2}$ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

**იმის გათვალისწინებით, რომ ,,სატყეო საქმის" პროგრამის სასწავლო გარემო არ იყო მოწყობილი და სასწავლო პროცესი სრულად დისტანციურად მიმდინარეობდა, *ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საკითხი, რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა გავლენა მოახდინა სასწავლო გარემოს არარსებობამ და მატერიალური რესურსების შესყიდვის შეფერხებამ ,,სატყეო საქმის" პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიმდინარე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევაზე.***

***წარმოებული ანალიზის საფუძველზე ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შემდეგ განმავითარებელ რეკომენდაციებს:***

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციების მონიტორინგი შეფასების სისტემის ვალიდურობასთან დაკავშირებით, მათ შორის, დისტანციურად წარმართულ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

**კომპიუტერული ქსელი და სისტემები**

**2.2.1 (1)** - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით.

**2.2.1 (5)**- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**2.2.1 (6)**- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

***იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრულად ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საკითხი,***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა გავლენა მოახდინა სასწავლო გარემოს არარსებობამ და მატერიალური რესურსების შესყიდვის შეფერხებამ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიმდინარე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევაზე.*

*წარმოებული ანალიზის საფუძველზე ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ განმავითარებელ რეკომენდაციას* - რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე.

ბუღალტრული აღრიცხვა

**2.2.1 (5)**- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები.

**2.2.1 (6)**- სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

**2.2.1 (7)** - პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებასა და რენტაბელობის ზღვარის დადგენასთან მიმართებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერულ ოდენობას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ვაუჩერი დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-$9^{2}$ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

**იმის გათვალისწინებით, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის სასწავლო გარემოს მოწყობა ვიზიტის წინა დღეს დასრულდა და სასწავლო პროცესი სრულად დისტანციურად მიმდინარეობდა,** ***ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საკითხი, რამდენად სრულყოფილად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და რა გავლენა მოახდინა სასწავლო გარემოს არარსებობამ და მატერიალური რესურსების შესყიდვის შეფერხებამ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიმდინარე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევაზე.***

***წარმოებული ანალიზის საფუძველზე ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ განმავითარებელ რეკომენდაციას*** - რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობისა და დისტანციური სწავლების პროცესში დასანერგი სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების თაობაზე.

ზოგადი რეკომენდაცია

დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომლითაც დარეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის, ადმინისტრირების და შესაძლებლობის ფარგლებში, დისტანციურად შეფასების ჩატარების საკითხები, შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №10. 11..03.2021; |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 15 პროფესიული სტუდენტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 157 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. ,,ელექტროობის“ პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

,,ელექტროობის" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ელექტროობის პროგრამა შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, რადგან არ იყო დაკმაყოფილებული წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნები და დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა.

მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესყიდვების ხელშეკრულებები, მიღება - ჩაბარების აქტები, პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმი/ შეთანხმება, სასაქონლო ზედნადებები), ასევე ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო და განახორციელა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან.

***,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №590348 გადაწყვეტილების თანახმად, ელექტროობის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს - 30 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის, 15 პროფესიული სტუდენტი იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.***

*დაწესებულება გეგმავს 15-15 პროფესიული სტუდენტი მიიღოს ორ ცვლაში.*

ელექტროობის მეოთხე დონის პროგრამისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს შემდეგი ფართები: აქვს ერთი A, ერთი B, ერთი C გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და ლაბორატორია ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“. ასევე, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ს.ს ,,ენერგო პრო ჯორჯიასთან“ (მემორანდუმი განახლებულია 2022 წლის 25 იანვარს), რომლითაც, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში, უზრუნველყოფილია პრაქტიკული სასწავლო გარემო/ მატერიალურ - ტექნიკური ბაზა შემდეგი მოდულების განსახორციელებლად: ,,ქვესადგურების მონტაჟი დიაგნოსტიკა და მომსახურება“, ,,მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება“. ასევე, გათვალისწინებულია სასწავლო ექსკურსიები ,,გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში.

***აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდულებში არ არის ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები არ იძლევა ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია.***

A გარემო მოწყობილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო B გარემო და ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია გათვლილია ჯგუფში 20-20 პროფესიულ სტუდენტზე. მათ შორის, B გარემოსა და ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორიის გამოყენება გათვალისწინებულია სხვა პროგრამების, მათ შორის, ინტეგრირებული პროგრამების ფარგლებშიც, რაც პროგრამების და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით ხელს არ უშლის სასწავლო გარემოთა გამტარობას.

A და B გარემოსათვის დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი სრულად აქვს უზრუნველყოფილი. მათ შორის, კომპიუტერული კლასის აღჭურვისათვის დაწესებულებამ გამოიყენა არსებული კომპიუტერული ტექნიკის რესურსი, ვინაიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ არ არის დასრულებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის პროცედურა და ტექნიკა ვერ იქნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებისთვის მიწოდებული. აღნიშნული მატერიალური რესურსი უნივერსიტეტმა გამოყო საკუთარ ბალანსზე რიცხული ტექნიკის ფარგლებში, რომელიც დასაწყობებული იყო და არ გამოიყენებოდა სხვა პროგრამის სასწავლო მიზნებისთვის.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული C გარემოს ფართი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს ( არანაკლებ 3 მ² -ისა ერთ სტუდენტზე). ასევე, არ იყო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი. არ იყო გათვალისწინებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები (სასწავლო კუთხისთვის მთავარი ელ. კვების სადენი მოთავსდეს დახურულ კარადაში და მიმაგრდეს ეტიკეტი ძაბვის აღმნიშვნელი (380V); დამიწდეს მთავარი კარადა; ქსელში ჩაერთოს გაჟონვის რელე). ***თუმცა ვიზიტისას დაწესებულებამ გამოყო პროგრამისათვის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ფართი, რომელიც არის 15 პროფესიულ სტუდენტზე მოსაწყობი, შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით.***

პროფესიული მოდულებისათვის დაწესებულებას შესასყიდი დარჩა 12 დასახელების რესურსი, რომლებიც საჭიროა მოდულების: ,,ელექტროტექნიკური მასალები“ და ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება“ განსახორციელებლად.

1. კონდესატორის ტევადობის გამზომი ბოგირი 100-10000 პიკოფარადი ( 1 ცალი)
2. შერინგის ბოგირი 1000-10000ვ ( 1 ცალი)
3. უნივერსალური გამრღვევი აპარატიУПУ—10 M, 10000v-მდე ( 1 ცალი)
4. ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი ველის მქონე ელექტროდთა სისტემის და ელექტროდებს შორის მანძილის ცვლილების (0-30 მმ )მქონე ორგანული მინისაგან დამზადებული დახურული კამერა ( 1 ცალი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. თხევადი დიელექტრიკების გამრღვევი აპარატი АИМ-90 ( 1 ცალი)
6. MPS® PA სამუშაო ადგილი ( 2 ცალი)
7. PC2 მართვის ნაკრები ( 2 ცალი)
8. S1-DP: მართვის ნაკრები ( 2 ცალი)
9. TP700 სენსორული პანელი ( 2 ცალი)
10. EasyPort USB ინტერფეისი ( 5 ცალი)
11. 84'' LED სენსორული ეკრანი ( 1 ცალი)
12. MPS® 203 I4.0 სისტემა ( 1 ცალი)

რაც შეეხება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიას - მისი აღჭურვა არ არის დასრულებული. შპს ,,სამაიასთან" გაფორმებული №05/03 ხელშეკრულების თანახმად, საზღვარგარეთიდან გამოწერილი რესურსის მიწოდების ვადად განსაზღვრულია <u>**2022 წლის 12 იანვრიდან 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდი.**</u> ვიზიტის პერიოდში დაწესებულებისათვის მიწოდებული არ იყო შემდეგი მატერიალური რესურსი:

1. ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით) ( 1 ცალი)
2. მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით ( 1 ცალი)
3. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად ( 3 ცალი)
4. ტესტერი (ციფრული ან ელეტრომექანიკური) - უერთდება ჩამონათვალში არსებულ კაბელებს ( 2 ცალი)
5. სადენები კლიპსებიანი ( 15 ცალი)
6. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით ( 1 ცალი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. კომპასი ( 6 ცალი)
8. წყვილი კამერტონი (2 ც ) რეზონატორით ( 1 ცალი)
9. ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი ( 1 ცალი)
10. სამკუთხა პრიზმა ( 1 ცალი)
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
13. საცობიანი მ/ ბოთლები რეაქტივებისთვის 100.0 ( 3 ცალი)
14. კიპის დისტილაციის აპარატი (Kipp's Distillation Apparatus) ( 1 ცალი)
15. ე.წ ფაიფურის ნავი (Porcelain boat) ( 3 ცალი)
16. სამფეხა ქოთნის სადგამი (Tripod pot stand) ( 1 ცალი)
17. ტემპერატურის და pH-ის ციფრული საზომი ( 1 ცალი)
18. საფარი მინები #100 ( 1 ცალი)
19. დურბინდი ( 1 ცალი)
20. ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი ( 1 ცალი)
21. თავის ტვინის ასაწყობი მოდელი ( 1 ცალი)

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია არ არის უზრუნველყოფილი გამწოვი კარადითა და წყლის მიწოდებით, რაც აუცილებელია ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის. აღნიშნული ვერ ჩაითვლება ხარვეზად, ვინაიდან ისინი არ არის გათვალისწინებული დამტკიცებული მოდულის რესურსში. თუმცა სისტემაში არსებული*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*პრაქტიკით დადასტურებულია მათი არსებობის აუცილებლობა და რეკომენდებულია აღნიშნული დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ. შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია.* ამ ეტაპზე ინტეგრირებულ პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება.

*ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ,,ელექტროობის" პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული სასწავლო გარემოთი და მატერიალური რესურსით (მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობით), პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე, ვინაიდან დაწესებულებაში არ არის დასრულებული C გარემოს მოწყობა, ვერ დასტურდება უსაფრთხო სასწავლო გარემოს არსებობაც* (2.4.1 (6).

დაწესებულებას არ წარმოუდგენია 2.2.1 კომპონენტთან შესაბამისობის გეგმა. შესაბამისად, დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება".

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა", რომლის მიხედვით ,,ელექტროობის" პროგრამისათვის სასწავლო გარემოს მოწყობა დასრულდება 2022 წლის 02 მარტისათვის, ხოლო აღჭურვილობის შესყიდვა, რომელიც გათვალისწინებულია მოდულებისათვის: ,,ელექტროტექნიკური მასალები" და ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება", სრულად დასრულდება მაქსიმუმ 6 თვის ვადაში. მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის ( 21 დასახელება) შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 31 მარტს.

კერძოდ, შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება გეგმავს კომპანია სიმენსის ოფიციალურ წარმომადგენელთან კომპანია „ინსტა"-სთან ხელშეკრულების გაფორმებას და მოდულების: ,,ელექტროტექნიკური მასალები" და „პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება" დარჩენილი აღჭურვილობის შესყიდვას. შესაბამისობის გეგმის მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღნიშნული შესყიდვისათვის გათვალისწინებულია 33 155 (ოცდაცამეტი ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარი. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესყიდვებისათვის საჭირო თანხა უნივერსიტეტს უკვე მიღებული აქვს 2021 წლის 27 დეკემბერს. შესაბამისად, ექსპერტებს საკმარისად მიაჩნიათ ვადა ( 6 თვე) აღნიშნული შესყიდვის განსახორციელებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების პროცედურების დასრულება მაქსიმუმ 6 თვის ვადაში. ექსპერტებმა შეისწავლეს იმავე შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გათვალისწინებული აქტივობები (მოდულზე ,,ელექტროტექნიკური მასალები“ სწავლის შეჩერება, ჯგუფისათვის ინდ. გეგმის შემუშავება) და ადასტურებენ, რომ აღნიშნულით არ ფერხდება სხვა მოდულთა სწავლის შედეგების მიღწევა. რაც შეეხება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის აღჭურვილობას, ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება.

შესაბამისად, ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია 2.4.1 (6) ინდიკატორთან მიმართებაშიც, ვინაიდან 2.2.1 კომპონენტის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების ბაზაზე არ არის მოწყობილი C გარემო და ვერ დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს, ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, უსაფრთხო C სასწავლო გარემოს მოწყობა 2022 წლის 02 მარტისათვის.

***ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე კომპონენტის პირველი ინდიკატორი ექსპერტთა მიერ ფასდება როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. მოდულური პროგრამით ,,ელექტროობა“ გათვალისწინებულია 20 (ოცი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 4 (ოთხი) ზოგადი მოდულების, 8 ( რვა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების და 4 (ოთხი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. ასევე, 4 ( ოთხი) მასწავლებელი გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულების სწავლებისათვის. ამ ეტაპზე 8 (რვა) პროფესიული სტუდენტიდან ,,ქართული ენა A2” მოდულს სწავლობს 3 (სამი) პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ასევე, პროგრამაში ჩართული პირები არ არიან ჩართულნი უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებში, რაც ზრდის პროფესიულ პროგრამაში მათი ჩართულობის მდგრადობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაზე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოთხოვილი იქნა მიმდინარე მოდულებზე დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიმდინარეობდა 4 (ოთხი) ზოგადი და 6 ( ექვსი) პროფესიული მოდული. საათობრივი დატვირთვა გადანაწილებულია სამ პროფესიული მოდულებისა და ოთხ ზოგადი მოდულების მასწავლებელზე. მიმდინარე პერიოდში პროგრამაში ჩართული მასწავლებლებიდან მაქსიმალური დატვირთვა შეადგენდა 11 საკონტაქტო საათს ( ფ. კ).

***ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების გადანაწილება და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №25 დადგენილებით (ოქმი №3) დამტკიცებულია დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება). ასევე, განსაზღვრულია მოთხოვნები ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლებისათვის.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ,,ელექტროობის“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ასევე, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. დარგის სპეციალისტები მაღალკვალიფიციური კადრებია. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ასევე უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*

4. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია უსდ- ს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2). პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება და სასურველია საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ამავე რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები.

ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება - ინჟინერ - ელექტრიკოსის კვალიფიკაციით, (სპეციალობა - ელექტრული სადგურები), რაც დასტურდება წარმოდგენილი დიპლომის ასლით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავე დროს არის მოქმედი დარგის სპეციალისტი. აღნიშნული დადასტურებულია რეზიუმეთი და მასთან ინტერვიუს გზით.

პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

შედგა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. ის ჩართულია სწავლების პროცესში. იცნობს იმ პრობლემებს რაც წარმოქმნილია პროგრამის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შესყიდვებიდან გამომდინარე და ჩართულია აღნიშნულ პროცესებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელი არის მოტივირებული. მან გამოხატა წუხილი, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონისთვის, განსაკუთრებით კი ახალქალაქისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რომ ,,ელექტროობის“ პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. უსდ- ს ახალქალაქის ლოკაციაზე არის ბიბლიოთეკა, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი ( OpenBiblio) რომლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს, პროგრამის განმახორციელებელსა თუ პერსონალს.

ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ,,ელექტროობის“ პროგრამის ყველა რესურსი არის ელექტრონული. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა მათი ელექტრონული ვერსიების არსებობა და შესაბამისად სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობა. ასევე, გამოვლინდა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ,,კოდექსი“, რომელიც პერიოდულად ახლდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*ამასთან, პროგრამაში სასწავლო რესურსის უმრავლესობას არ უწერია, რომ არის ელექტრონული რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა მსგავს რესურსთან მიმართებაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ არის ელექტრონული რესურსი.*

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. შესაბამისად, ისგ დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ამ ეტაპისათვის ,,ელექტროობის“ პროგრამაზე სსსმ პირი არ ჩარიცხულა, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. ამასთან, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან *გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული ასევე, არაინტეგრირებული პროგრამებისთვის. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს, არაინტეგრირებული მიდგომით სწავლების შემთხვევაში, შეადგენს მინიმუმ 11, ხოლო ინტეგრირებული მიდგომით - მინიმუმ 12 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი.

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, კომუნალურ გადასახედებს და ავტორიზაციის გადასახადს მოხმარდება.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ,,ელექტროობის“ პროგრამაზე ირიცხება 9 (ცხრა) პროფესიული სტუდენტი (არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე). მათგან 3 (სამი) პროფესიული სტუდენტი სწავლობს ქართული ენის მოდულს. შესაბამისად, არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობს 6 (ექვსი) პროფესიული სტუდენტი.

პასუხისმგებელ პირთან განხორციელდა ინტერვიუ, თუ რამდენად იქნება საკმარისი 6 ( ექვსი) პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის. მისი განმარტებით, პროგრამის განხორციელებას მდგრადობა არ შეექმნება ვინაიდან, პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დაფინანსების წესის მიხედვით 6 (ექვსი) პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მიიღებენ განსხვავებულ ვაუჩერულ დაფინანსებას. ხოლო ვაუჩერული დაფინანსების არასაკმარისობის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ სამინისტროს. ასევე, უნივერსიტეტსაც აქვს რესურსი დაფაროს მაგ. კომუნალური ხარჯები. შესაბამისად, პროგრამის ფინანსურ მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ამასთან, ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ შემუშავებული არაინტეგრირებული პროგრამის ბიუჯეტი და დადგინდა, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9 [2] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსების პირობები, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე გაიცემა 9[1] მუხლით დადგენილი წესით გაანგარიშებული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერის დაფინანსების ოდენობის 1.5 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა და ასევე, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ან მაღალმთიან დასახლებაში ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა იანგარიშება დადგენილი ოდენობისაგან განსხვავებულად მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის 1, 25 კოეფიციენტზე გადამრავლებით. ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილების მიხედვით, მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყველა დასახლება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად დადგენილი კოეფიციენტებით ( 1,5 და 1, 25) დაანგარიშების შემთხვევაში პროგრამის ბიუჯეტი იქნება უფრო მაღალი. შესაბამისად, პროგრამის რენტაბელობის ზღვარიც დაიწევს და პროგრამაც ფინანსურად უფრო მდგრადი გახდება პროფესიული სტუდენტების მცირე ოდენობის შემთხვევაშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია. ის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დაფინანსების წესი უზრუნველყოფს მის მდგრადობას. *ამასთან, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერულ ოდენობას და ვაუჩერი დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9 ² მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, რაც დადებით გავლენას მოახდენს პროგრამის ბიუჯეტსა და რენტაბელობის ზღვარზეც.*

*დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*

- სს.ს ,,ენერგი პრო ჯორჯიას" და სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული 2022 წლის 25 იანვრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი №2 (ცვლილებებით - აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმი N6);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №25; 22.06. 2020 წ. ოქმი №3);
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 მარტის №10 დადგენილებით დამტკიცებული ,,ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე;
- ელექტროობის პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულებები ( ტრენინგის თემატიკა და ფოტომასალა);
- შესყიდვის ხელშეკრულებები;
- სასაქონლო ზედნადებები;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი;
- ელექტროობის პროგრამის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის სტატისტიკა emis - ის ბაზის მიხედვით;
- ელექტროობის პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგი;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი;
- ელექტროობის პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო რესურსის გადამოწმების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- **სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 24 თებერვლის №MES 3 22 0000193236 კორესპონდენციით წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.**

*შეფასება*:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებოსტნე |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს დადგენილება №10. 11.03.2021 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 75 |

**XIII. „მებოსტნის“ პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

,,მებოსტნის“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ,,მებოსტნის“ პროგრამა შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, რადგან არ იყო დაკმაყოფილებული წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნები და დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა.

მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ( შესყიდვების ხელშეკრულებები, მიღება - ჩაბარების აქტები, პარტნიორთან გაფორმებულ მემორანდუმში შეტანილი ცვლილება, სასაქონლო ზედნადებები), ასევე ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო და განახორციელა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან.

**,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 17 ივნისის №590336 გადაწყვეტილების შესაბამისად, ,,მებოსტნის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს.**

უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში ( 20-20 პროფესიული სტუდენტი).

მებოსტნის პროგრამისათვის უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს შემდეგი ფართები: აქვს ერთი A, ერთი B და C გარემო (სათბური). ასევე, 2021 წლის 17 იანვარს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსიტეტსა და შპს ,,ჯავახეთის აგრო კომპანიას“ შორის, რომელშიც ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 17 იანვარს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მემორანდუმში დაკონკრეტებულია პარტნიორ საწარმოში განსახორციელებელი მოდულები. კერძოდ, პარტნიორი გამოთქვამს მზაობას მის ბაზაზე, განხორციელდეს ჩამოთვლილი მოდულების პრაქტიკული კომპონენტი: ნიადაგის დამუშავების საფუძვლები; თესვა და რგვა; მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა; მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება; საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება; მოსავლის აღება-შენახვა; ბოსტნის მოწყობა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლის აღება - შენახვა; დახურული გრუნტის მოწყობა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში; მცენარის განვითარების სტადიების მართვა და კულტურათა ფორმირება დაცულ გრუნტში.

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდულებში არ არის ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები არ იძლევა ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია.*

შპს ,,ჯავახეთის აგრო კომპანიის“ საქმიანობა მრავალპროფილურია. კომპანიას აქვს: სამაცივრე მეურნეობა, ჩითილების წარმოება, კარტოფილის წარმოება, მცენარეთა დაცვის საშუალებების მაღაზია, ნიადაგის ლაბორატორია. დაგეგმილი აქვთ ინ-ვიტრო ლაბორატორიის მოწყობას და სარგავი მასალის ქსოვილური კულტურით წარმოება. კომპანია აწარმოებს ბოსტნეულ კულტურებს (სტაფილო, ჭარხალი, ბროკოლი). უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის გაფორმებულ მემორანდუმს დანართის სახით ახლავს პარტნიორის ბაზაზე არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ის ჩამონათვალი, რომელიც დაწესებულებას არ აქვს საკუთარ ბაზაზე და რომელზეც წვდომა ექნებათ პროფესიულ სტუდენტებს სწავლების პროცესში. პროფესიულ სტუდენტთა, ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კვოტის ფარგლებში. დარგის ექსპერტი ადასტურებს რესურსის საკმარისობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სასწავლო ფართები. A და B გარემო მოწყობილია 20-20 პროფესიულ სტუდენტზე, მათ შორის, B გარემოს გამოყენება გათვალისწინებულია სხვა პროგრამების ფარგლებშიც, რაც პროგრამების ოდენობის და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით ხელს არ უშლის სასწავლო გარემოთა გამტარობას.

A და B გარემოსათვის უნივერიტეტს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი სრულად აქვს უზრუნველყოფილი. მათ შორის, კომპიუტერული კლასის აღჭურვისათვის დაწესებულებამ გამოიყენა არსებული კომპიუტერული ტექნიკის რესურსი, ვინაიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ არ არის დასრულებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის პროცედურა და ტექნიკა ვერ იქნა დაწესებულებისთვის მოწოდებული. აღნიშნული მატერიალური რესურსი უნივერსიტეტმა გამოყო საკუთარ ბალანსზე რიცხული ტექნიკის ფარგლებში, რომელიც დასაწყობებული იყო და არ გამოიყენებოდა სხვა პროგრამის სასწავლო მიზნებისთვის.

პროგრამით გათვალისწინებულია დაწესებულებაში C გარემოს - სათბურის მოწყობა. დაწესებულებას მონიშნული აქვს მიწის ნაკვეთი ღია გრუნტში (220 კვ.მ), სადაც გადაწყვეტილია დახურული გრუნტის/სათბურის მოწყობა. ამ მიზნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შეისყიდა სათბურის კონსტრუქცია და სასათბურე ფირი. წარმოდგენილია შეძენილი მატერიალური რესურსი. ექსპერტები ასევე, გაეცნენ შესყიდვის დოკუმენტაცია. ***თუმცა ვიზიტის დროს სათბურის მონტაჟი არ იყო დაწყებული.*** დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ამინდის გამო არ მიეცათ საშუალება და როგორც კი თოვლი დადნება კონსტრუქციას მოაწყობენ. აღსანიშნავია, რომ პარტნიორთან გაფორმებულ მემორანდუმში მითითებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული მოდულების დიდი ნაწილი, მაგრამ მასში არ არის მითითებული პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის სასწავლო გარემოდ სათბურის გამოყენების შესაძლებლობა.

გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას წინა ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ პერიოდში პროფესიული მოდულების განსახორციელებლად შეძენილი აქვს 57 დასახელების აღჭურვილობა და ინვენტარი ( 42 822 ლარის ღირებულებით). მტკიცებულებად წარმოდგენილია გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (ხელშეკრულება №05/14) და მიღება ჩაბარების აქტები. ასევე, დაწესებულებას უკვე აშენებული აქვს სათბურის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე აღჭურვილობის განსათავსებელი ფართი. აღჭურვილობის იდენტიფიცირება მოხდა ადგილზეც დარგის ექსპერტის მიერ, ვიზუალური დათვალიერებით.

*იმის გათვალისწინებით, რომ ,,მებოსტნის“ პროგრამისათვის დაწესებულებას არ აქვს სრულად უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო (მოსაწყობი დარჩა სათბური) და დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტებმა დასკვნის პროექტში წინამდებარე კომპონენტი შეაფასეს როგორც - ,,არ შეესაბამება“.*

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით, ,,მებოსტნის“ პროგრამისათვის სათბურის მოწყობა დასრულდება 5 თვეში, 2022 წლის მაისში. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება, შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მითითებულ ვადაში სათბურის მოწყობის დასრულება საფრთხეს ვერ შეუქმნის პროგრამას.

**შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება - როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ,,მებოსტნის“ პროგრამის სასწავლო გარემოს სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. მოდულური პროგრამით - ,,მებოსტნე“ გათვალისწინებულია 10 (ათი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 5 (ხუთი) ზოგადი მოდულების და 5 (ხუთი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია.

სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ასევე, პროგრამაში ჩართული პირები არ არიან ჩართულნი უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებში.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხებოდა, შესაბამისად, განმახორციელებლებთან შრომითი ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული. მათთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის და პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №25 დადგენილებით (ოქმი №3) დამტკიცებულია დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება).

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ,,მებოსტნის“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ასევე, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

*ვინაიდან პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება და განმახორციელებლები სწავლების პროცესში ჯერ არ არიან ჩართული მათთან ინტერვიუ ამ ვიზიტის ფარგლებში საჭიროდ აღარ იქნა მიჩნეული.*

***დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.***

4. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია უსდ- ს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით" , რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2). პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება და სასურველია საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ამავე რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები.

ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება - სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დიპლომის ასლით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავე დროს არის მოქმედი დარგის სპეციალისტი. მისი სამუშაო გამოცდილება გარდა სწავლებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
უკავშირდება აგრარულ სფეროს. დასაქმებულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი).

პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რომ ,,მებოსტნის" პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. უსდ- ს ახალქალაქის ლოკაციაზე არის ბიბლიოთეკა, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი ( OpenBiblio) რომლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს, პროგრამის განმახორციელებელსა თუ პერსონალს.

ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადგინდა რომ რესურსი არის ელექტრონული. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ,,მებოსტნის" პროგრამის სასწავლო რესურსი და დადასტურდა მათი ელექტრონული ვერსიების არსებობა და შესაბამისად სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობა. ასევე, გამოვლინდა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ,,კოდექსი", რომელიც პერიოდულად ახლდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*ამასთან, პროგრამაში სასწავლო რესურსის უმრავლესობას არ უწერია, რომ არის ელექტრონული რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა მსგავს რესურსთან მიმართებაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ არის ელექტრონული რესურსი.*

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. და, შესაბამისად, ისგ დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ამ ეტაპისათვის პროგრამაზე სტუდენტი საერთოდ არ ჰყავთ, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. ამასთან, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან *გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. უნივერსიტეტმა წარმოადგინა „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს - 8 (რვა) პროფესიული სტუდენტი.

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, კომუნალურ გადასახედებს და ავტორიზაციის გადასახადს მოხმარდება.

დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ექსპერტები ადასტურებენ, რომ არსებული დაფინანსების წესის გათვალისწინებით პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

*დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*

- შპს ,,ჯავახეთის აგრო კომპანიას“ და სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული 2021 წლის 27 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ( შეთანხმება - 17,01,2022);
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“ - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 (ცვლილებებით - აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმი N6);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №25; 22.06. 2020 წ. ოქმი №3);
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 მარტის №10 დადგენილებით დამტკიცებული ,,მებოსტნის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია" - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2);
- პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულებები ( ტრენინგის თემატიკა და ფოტომასალა);
- შესყიდვის ხელშეკრულებები;
- სასაქონლო ზედნადებები;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- ,,საქართველოს საზოგადოებრივ ასქმეთა ინსტიტსა და ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული 2009 წლის მიღება - ჩაბარების აქტი;
- მებოსტნის პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგი;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი;
- მებოსტნის პროგრამის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- მეზოსტნის პროგრამის საგანმანათლებლო რესურსის გადამოწმების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.
- **სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 24 თებერვლის №MES 3 22 0000193236 კორესპონდენციით წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.**

*შეფასება*:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატყეო საქმე |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0821 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №10. 11..03.2021; ცვლილება- დადგენილება №49; 04.11. 2021; |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40  პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 20 პროფესიული სტუდენტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 48 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 131 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 78 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. ,,სატყეო საქმის“ პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

,,სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

### 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს მოდულური პროგრამა - ,,სატყეო საქმე“ შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, რადგან არ იყო დაკმაყოფილებული წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნები და დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა.

მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესყიდვების ხელშეკრულებები, მიღება - ჩაბარების აქტები, პარტნიორთან გაფორმებულ მემორანდუმებში შეტანილი ცვლილებები, სასაქონლო ზედნადებები), ასევე, ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო და განახორციელა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან.

**,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 17 ივნისის №590347 გადაწყვეტილებით ,,სატყეო საქმის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში - 20 პროფესიული სტრუდენტი.**

უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში ( 20-20 პროფესიული სტუდენტი).

,,სატყეო საქმის“ მეოთხე დონის პროგრამისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს შემდეგი ფართები: ერთი A გარემო, ერთი B გარემო, ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
A/C გარემო მოდულისათვის - ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე“ და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

ცალკეული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულებას ჰყავს ორი პარტნიორი. პროგრამის დამატებისას წარდგენილი იყო სსიპ სამცხე ჯავახეთის სატყეო სამსახურსა და ი/მ გურამ თედორაძესთან (სანერგე მეურნეობა) გაფორმებული 2021 წლის 04 მარტისა და 2021 წლის 27 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. განმავითარებელი რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყო ცვლილებების შეტანა ზემოაღნიშნულ მემორანდუმებში და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან გააფორმა შეთანხმება (17.01.2022) მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც, სააგენტო გამოთქვამს თანხმობას უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ პროგრამისათვის მინიჭებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სატყეო საქმე“ გათვალისწინებული მოდულების: „გაცნობითი პრაქტიკა“, ,,ხე-ტყის დამზადება’’ , და ,საწარმოო პრაქტიკა’’ - პრაქტიკული კომპონენტი გაიარონ აღნიშნული სააგენტოს ბაზაზე, სააგენტოს კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. შეთანხმებები გაფორმებულია მეორე პრაქტიკის ობიექტთანაც და მოდულების: „ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება“ და „ტყის აღდგენა-გაშენება“ პრაქტიკული კომპონენტის გავლა განისაზღვრა ი/მ გურამ თედორაძის ბაზაზე, შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის გამოყენებით. ამასთან, მოდულის „ტყის აღდგენა-გაშენება“ პრაქტიკული კომპონენტის პარტნიორის ბაზაზე განხორციელებასთან დაკავშირებით შეთანხმება გაფორმდა ვიზიტის დღეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდულებში არ არის ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები არ იძლევა ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია.*

დაწესებულებაში სასწავლო ფართები გათვლილია ჯგუფში 20-20 პროფესიულ სტუდენტზე. მათ შორის, B გარემოსა და ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის გამოყენება გათვალისწინებულია სხვა პროგრამების, მათ შორის ინტეგრირებული პროგრამების ფარგლებშიც, რაც პროგრამების და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით ხელს არ უშლის სასწავლო გარემოთა გამტარობას.

A და B გარემოსათვის დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი სრულად აქვს უზრუნველყოფილი. მათ შორის, კომპიუტერული კლასის აღჭურვისათვის დაწესებულებამ გამოიყენა არსებული კომპიუტერული ტექნიკის რესურსი, ვინაიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ არ არის დასრულებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის პროცედურა და ტექნიკა ვერ იქნა დაწესებულებისთვის მიწოდებული. აღნიშნული მატერიალური რესურსი უნივერსიტეტმა გამოყო საკუთარ ბალანსზე რიცხული ტექნიკის ფარგლებში, რომელიც დასაწყობებული იყო და არ გამოიყენებოდა სხვა პროგრამის სასწავლო მიზნებისთვის.

მოდულისათვის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე“ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ფართი, სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (2 კვ. პროფესიულ სტუდენტზე), შეძენილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით ( მიღება -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩაბარების აქტები, შესყიდვის ხელშეკრულებები), *თუმცა ვიზიტის მომენტში სასწავლო გარემოსი ინვენტარის განთავსების პროცესი არ იყო დასრულებული.*

რაც შეეხება პროფესიული მოდულებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსს, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ იყო უზრუნველყოფილი. დათვალიერებული იქნა აღჭურვილობა, რომელიც შეძენილ იქნა „სატყეო საქმის“ პროგრამისთვის. ასევე, ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიღება - ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები, რომლებიც შედარდა პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობის ჩამონათვალსა და სპეციფიკაციებს. გამოვლინდა, რომ დაწესებულებას საკუთარ ბაზაზე არ აქვს აღჭურვილობის ნაწილი (სიმაღლმზომი, სიხშირმზომი, თესლის საწმენდი დანადგარი, ნარგავების ამომღები აგრეგატი, ნიადაგის ღრმად დასამუშავებელი გუთანი, დასაფარცხი აგრეგატი და ამომძირკველი). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ნაწილი აღჭურვილობის (სიმაღლმზომი, სიხშირმზომი) შეძენა გართულდა საქართველოში მომწოდებლის არარსებობის გამო და დაწესებულება გეგმავს მათ შეძენას სამომავლოდ. ხოლო, მძიმე ტექნიკასთან დაკავშირებული აღჭურვილობა (თესლის საწმენდი დანადგარი, ნარგავების ამომღები აგრეგატი, ნიადაგის ღრმად დასამუშავებელი გუთანი, დასაფარცხი აგრეგატი და ამომძირკველი), რომლებიც საჭიროა ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოებისა და ტყის აღდგენა-გაშენების მოდულისთვის, უზრუნველყოფილი იქნება პრაქტიკის ობიექტის მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება გეგმავს სიმაღლმზომისა და სიხშირმზომის შეძენას. თუმცა მათი სამომავლოდ შეძენა არ შეაფერხებს სწავლების პროცესს, რადგან, დარგის ექსპერტის განმარტებით, ამ შემთხვევაშიც რესურსი უზრუნველყოფილი იქნება პრაქტიკის ობიექტის - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ,,სატყეო საქმის“ პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზა დაწესებულების მიერ სრულად არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.

გამონაკლისს წარმოადგენს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ რესურსი. არ არის დასრულებული ლაბორატორიის აღჭურვა. შპს ,,სამაიასთან“ გაფორმებული №05/03 ხელშეკრულების თანახმად, საზღვარგარეთიდან გამოწერილი რესურსის მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 12 იანვრიდან 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებისათვის მიწოდებული არ იყო შემდეგი მატერიალური რესურსი:

1. ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით) ( 1 ცალი)
2. მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით ( 1 ცალი)
3. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად ( 3 ცალი)
4. ტესტერი (ციფრული ან ელეტრომექანიკური) - უერთდება ჩამონათვალში არსებულ კაბელებს ( 2 ცალი)
5. სადენები კლიპსებიანი ( 15 ცალი)
6. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით ( 1 ცალი)
7. კომპასი ( 6 ცალი)
8. წყვილი კამერტონი (2 ც ) რეზონატორით ( 1 ცალი)
9. ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი ( 1 ცალი)
10. სამკუთხა პრიზმა ( 1 ცალი)
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
13. საცობიანი მ/ ბოთლები რეაქტივებისთვის 100.0 ( 3 ცალი)
14. კიპის დისტილაციის აპარატი (Kipp's Distillation Apparatus) ( 1 ცალი)
15. ე.წ ფაიფურის ნავი (Porcelain boat) ( 3 ცალი)
16. სამფეხა ქოთნის სადგამი (Tripod pot stand) ( 1 ცალი)
17. ტემპერატურის და pH-ის ციფრული საზომი ( 1 ცალი)
18. საფარი მინები #100 ( 1 ცალი)
19. დურბინდი ( 1 ცალი)
20. ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი ( 1 ცალი)
21. თავის ტვინის ასაწყობი მოდელი ( 1 ცალი)

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია არ არის უზრუნველყოფილი წყლის მიწოდებითა და გამწოვი კარადით რაც აუცილებელია ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის. აღნიშნული ვერ ჩაითვლება ხარვეზად, ვინაიდან ისინი არ არის გათვალისწინებული დამტკიცებული მოდულის რესურსში. თუმცა სისტემაში არსებული პრაქტიკით დადასტურებულია მათი არსებობის აუცილებლობა და რეკომენდებულია აღნიშნული დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ.* ამასთან, ამ ეტაპზე ინტეგრირებულ პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება.

***ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები მიჩნევენ, რომ „სატყეო საქმის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
*რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ: ,,სატყეო საქმის“ პროგრამით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც - ,,არ შეესაბამება“.*

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 31 მარტს. აღნიშნულ პროგრამაზე ინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება, შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მითითებულ რესურსის შესყიდვის დასრულება საფრთხეს ვერ შეუქმნის პროგრამის განხორციელებას.

*შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება - როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.*

2. მოდულური პროგრამით ,,სატყეო საქმე“ გათვალისწინებულია 18 (თვრამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 5 ხუთი ზოგადი მოდულების, 8 (რვა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების და 3 (სამი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. ასევე, 3 (სამი) მასწავლებელი გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულების სწავლებისათვის (მათ შორის, ერთი ასწავლის ,,მოქალაქეობის“ მოდულსაც).

სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ასევე, პროგრამაში ჩართული პირები არ არიან ჩართულნი უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებში, ზრდის პროფესიულ პროგრამაში მათი ჩართულობის მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაზე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოთხოვილი იქნა მიმდინარე მოდულებზე დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიმდინარეობდა 5 (ხუთი) და დასრულებული იყო 4 ( ოთხი) მოდული. საათობრივი დატვირთვა გადანაწილებულია შვიდ მასწავლებელზე. მიმდინარე პერიოდში პროგრამაში ჩართული მასწავლებლებიდან მაქსიმალური დატვირთვა შეადგენდა 14 საკონტაქტო საათს.

***ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების გადანაწილება და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.***

*3.* სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №25 დადგენილებით (ოქმი №3) დამტკიცებულია დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება). ასევე, განსაზღვრულია მოთხოვნები ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლებისათვის.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ,,სატყეო საქმის“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ასევე, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ.

***დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.***

4. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია უსდ- ს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2). პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება და სასურველია საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ამავე რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები.

ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და გაესაუბრა მას. ხელმძღვანელი სრულად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. იგი გახლავთ მექანიკის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორი. სატყეო საქმის მიმართულებით დამთავრებული აქვს სატყეო ტექნიკუმი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები სატყეო საქმის სფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რომ ,,სატყეო საქმის“ პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. უსდ- ს ახალქალაქის ლოკაციაზე არის ბიბლიოთეკა, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი ( OpenBiblio) რომლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს, პროგრამის განმახორციელებელსა თუ პერსონალს.

ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ პროგრამის ყველა რესურსი არის ელექტრონული. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა მათი ელექტრონული ვერსიების არსებობა და შესაბამისად სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობა. ასევე, გამოვლინდა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ,,კოდექსი“, რომელიც პერიოდულად ახლდება.

***ამასთან, პროგრამაში სასწავლო რესურსის უმრავლესობას არ უწერია, რომ არის ელექტრონული რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა მსგავს რესურსთან მიმართებაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ არის ელექტრონული რესურსი.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*6.* დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. და, შესაბამისად, ისგ დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ამ ეტაპისათვის პროგრამაზე სსსმ პირი არ ჩარიცხულა, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან *გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).*

7. უნივერსიტეტმა წარმოადგინა „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული ასევე, არაინტეგრირებული პროგრამებისთვის. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს, არაინტეგრირებული მიდგომით სწავლების შემთხვევაში, შეადგენს მინიმუმ 10, ხოლო ინტეგრირებული მიდგომით - მინიმუმ 11 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, კომუნალურ გადასახედებს და ავტორიზაციის გადასახადს მოხმარდება.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ,,სატყეო საქმის“ პროგრამაზე (არაინტეგრირებული) ირიცხება 7 (შვიდი) პროფესიული სტუდენტი. მათგან 2 (ორი) სტუდენტი სწავლობს მოდულს ,,ქართული ენა A2“. შესაბამისად, არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობს 5 (ხუთი) პროფესიული სტუდენტი.

პასუხისმგებელ პირთან განხორციელდა ინტერვიუ, თუ რამდენად იქნება საკმარისი 5 პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის. მისი განმარტებით, პროგრამის განხორციელების მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება ვინაიდან, პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დაფინანსების წესის მიხედვით 5 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მიიღებენ განსხვავებულ ვაუჩერულ დაფინანსებას და ვაუჩერული დაფინანსების არასაკმარისობის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ სამინისტროს. ასევე, უნივერსიტეტსაც აქვს რესურსი დაფაროს მაგ. კომუნალური ხარჯები. შესაბამისად, პროგრამის ფინანსურად მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება.

ამასთან, ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ შემუშავებული არაინტეგრირებული პროგრამის ბიუჯეტი და დადგინდა, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9 [2] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსების პირობები, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე გაიცემა 9[1] მუხლით დადგენილი წესით გაანგარიშებული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერის დაფინანსების ოდენობის 1.5 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა და ასევე, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ან მაღალმთიან დასახლებაში ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა იანგარიშება დადგენილი ოდენობისაგან განსხვავებულად მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის 1, 25 კოეფიციენტზე გადამრავლებით. ,, მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილების მიხედვით, მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყველა დასახლება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად დადგენილი კოეფიციენტებით ( 1,5 და 1, 25) დაანგარიშების შემთხვევაში პროგრამის ბიუჯეტი იქნება უფრო მაღალი და შესაბამისად პროგრამის რენტაბელობის ზღვარიც დაიწევს და პროგრამაც ფინანსურად უფრო მდგრადი გახდება სტუდენტების მცირე ოდენობის შემთხვევაშიც.

*ექსპერტები ადასტურებენ, რომ ვინაიდან უნივერსიტეტი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არსებული დაფინანსების წესით უზრუნველყოფილია პროგრამის ფინანსური მდგრადობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*ამასთან, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერულ ოდენობას და ვაუჩერი დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9$^{2}$ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, რაც დადებით გავლენას მოახდენს პროგრამის ბიუჯეტსა და რენტაბელობის ზღვარზეც.*

*დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*

- სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შორის გაფორმებული 2021 წლის 04 მარტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ( ცვლილება - 17. 01.2022);
- სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ინდ. მეწარმე გურამ თედორაძეს ( სანერგე მეურნეობა) შორის გაფორმებული 2021 წლის 27 თებერვლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ( ცვლილება - 17. 01.2022; 15.02..2022);
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 (ცვლილებებით - აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმი N6);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №25; 22.06. 2020 წ. ოქმი №3);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 11 მარტის №10 დადგენილებით დამტკიცებული ,,სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ( ცვლილება - დადგენილება №49; 04.11. 2021);
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე;
- სატყეო საქმის პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულებები (ტრენინგის თემატიკა და ფოტომასალა);
- შესყიდვის ხელშეკრულებები;
- სასაქონლო ზედნადებები;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი;
- სატყეო საქმის პროგრამის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის სტატისტიკა emis - ის ბაზის მიხედვით;
- სატყეო საქმის პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგი;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სატყეო საქმის  პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო რესურსის გადამოწმების შედეგი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგი.
- **სსიპ სამცხე  - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  2022 წლის 24 თებერვლის №MES 3 22 0000193236 კორესპონდენციით წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.**

*შეფასება*:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წ დადგენილება № 8. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 20 პროფესიული სტუდენტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების “ პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს პროგრამა შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", რადგან არ იყო დაკმაყოფილებული წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნები და დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა.

მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესყიდვების ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები), ასევე, ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო და განახორციელა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან.

**,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 18 ივნისის №590346 გადაწყვეტილებით, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს - 40 პროფესიულ სტუდენტს. მათ შორის, 20 - ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე.**

უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში (20-20 პროფესიული სტუდენტი).

,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" მეოთხე დონის პროგრამისათვის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს შემდეგი ფართები: ერთი B გარემო და ლაბორატორია ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები". როგორც B გარემო, ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია გათვლილია ჯგუფში 20-20 პროფესიულ სტუდენტზე. მათ შორის, ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორიის გამოყენება გათვალისწინებულია სხვა ინტეგრირებული პროგრამების ფარგლებშიც, რაც პროგრამების და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით ხელს არ უშლის ლაბორატორიის გამტარობას. პროგრამის ფარგლებში პარტნიორი კომპანია არ არის გათვალისწინებული.

**B გარემოსათვის დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი სრულად არ აქვს უზრუნველყოფილი.** კერძოდ: კომპიუტერული კლასის აღჭურვისათვის დაწესებულებამ გამოიყენა დაწესებულების ბალანსზე არსებული კომპიუტერული ტექნიკის რესურსი, ვინაიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ არ არის დასრულებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის პროცედურა და ტექნიკა ვერ იქნა დაწესებულებისთვის მიწოდებული. აღნიშნული მატერიალური რესურსი უნივერსიტეტმა გამოყო საკუთარ ბალანსზე რიცხული ტექნიკის ფარგლებში, რომელიც დასაწყობებული იყო და არ გამოიყენებოდა სხვა პროგრამის სასწავლო მიზნებისთვის.

დარგის ექსპერტის მიერ კომპიუტერების სპეციფიკაციების შემოწმებით დადგინდა, რომ არსებული კომპიუტერები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულებამ, მას შემდეგ რაც გაიგო, რომ კომპიუტერების მონაცემები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს გამოთქვა მზაობა მისი მონაცემების გაძლიერების. ასევე, უნივერსიტეტის შენობაში (ახალციხის მისამართზე) აქვთ ახალი კომპიუტერები რომლებიც აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მონაცემებს და გამოიყენებენ პროგრამის ფარგლებში ვიდრე დასრულდება ახალი კომპიუტერების შეძენის პროცესი. ნაწილი კომპიუტერების უკვე აწყობილია და გამართულია, რისი შემოწმებაც შეძლო დარგის ექსპერტმა, ნაწილი კი დასაწყობებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასევე, დადგინდა, რომ შესყიდვის პროცესშია პროგრამისთვის საჭირო სხვა აღჭურვილობებიც. კერძოდ, cisco-ს მოწყობილობები: კომუტატორი (3 ცალი) და მარშრუტიზატორი (3 ცალი). მტკიცებულებად კოლეჯმა წარმოადგინა შესყიდვის ხელშეკრულება და სასაქონლო ზედნადებები. ხელშეკრულებითა და ზედნადებებით გათვალისწინებული ყველა მოწყობილობა შეძენილია და განთავსებულია B გარემოში, გარდა cisco- ს, მოწყობილობებისა. ამასთან, წარმოდგენილი არ არის მიღება - ჩაბარების დოკუმენტი, რომელთან მიმართებითაც განაცხადეს, რომ საბუთი შედგება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მოწოდების შემდეგ. cisco-ს მოწყობილობები მომწოდებელს გამოწერილი აქვს საზღვარგარეთიდან და შეყოვნდა მათი შემოტანა.

პროგრამით, გარდა კომპიუტერული ტექნიკისა, გათვალისწინებულია სამუშაო მაგიდა, რომელზეც მოხდება კომპიუტერის დაშლა, აწყობა და სხვადასხვა მანიპულაციები, ასევე, კარადა ჩამკეტით სადაც განთავსდება პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა, თუმცა სასწავლო გარემოს ფართი არ იძლევა როგორც ყველა ზემოაღნიშნული ინვენტარის განთავსების საშუალებას, ასევე, პროფესიული მოდულებით (მაგ: კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა) გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას, პროფესიულ სტუდენტთაზ ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, ექსპერტები ასკვნიან, რომ არსებულ B გარემოში ვერ მოხერხდება ყველა პროფესიული მოდულის სრულფასოვნად ჩატარება,

რაც შეეხება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიას, მისი აღჭურვა არ არის დასრულებული. შპს ,,სამაიასთან" გაფორმებული №05/03 ხელშეკრულების თანახმად, საზღვარგარეთიდან გამოწერილი რესურსის მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 12 იანვრიდან 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებისათვის მიწოდებული არ იყო შემდეგი მატერიალური რესურსი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ზამბარების ნაკრები (მეტალის, კაუჭით) ( 1 ცალი)
2. მექანიკური დინამომეტრი ზედა და ქვედა კაუჭით ( 1 ცალი)
3. სხვადასხვა ზედაპირიანი კაუჭიანი ძელაკი ხახუნის ძალის შესასწავლად ( 3 ცალი)
4. ტესტერი (ციფრული ან ელეტრომექანიკური) - უერთდება ჩამონათვალში არსებულ კაბელებს ( 2 ცალი)
5. სადენები კლიპსებიანი ( 15 ცალი)
6. ვარვარების ნათურა სადგამით, ორი სათადარიგო ნათურით ( 1 ცალი)
7. კომპასი ( 6 ცალი)
8. წყვილი კამერტონი (2 ც ) რეზონატორით ( 1 ცალი)
9. ზარხუფი ვაკუუმის მისაღები ხელის ტუმბოთი ( 1 ცალი)
10. სამკუთხა პრიზმა ( 1 ცალი)
11. ლინზების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
12. სარკეების ნაკრები სადგამით და შესანახი ყუთით ( 1 ცალი)
13. საცობიანი მ/ ბოთლები რეაქტივებისთვის 100.0 ( 3 ცალი)
14. კიპის დისტილაციის აპარატი (Kipp's Distillation Apparatus) ( 1 ცალი)
15. ე.წ ფაიფურის ნავი (Porcelain boat) ( 3 ცალი)
16. სამფეხა ქოთნის სადგამი (Tripod pot stand) ( 1 ცალი)
17. ტემპერატურის და pH-ის ციფრული საზომი ( 1 ცალი)
18. საფარი მინები #100 ( 1 ცალი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

19. დურბინდი ( 1 ცალი)
20. ადამიანის ჩონჩხი ასაწყობი ( 1 ცალი)
21. თავის ტვინის ასაწყობი მოდელი ( 1 ცალი)

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია არ არის უზრუნველყოფილი წყლის მიწოდებითა და გამწოვი კარადით რაც აუცილებელია ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის. აღნიშნული ვერ ჩაითვლება ხარვეზად, ვინაიდან ისინი არ არის გათვალისწინებული დამტკიცებული მოდულის რესურსში. თუმცა სისტემაში არსებული პრაქტიკით დადასტურებულია მათი არსებობის აუცილებლობა და რეკომენდებულია აღნიშნული დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ.* ამ ეტაპზე ინტეგრირებულ პროგრამაზე სტუდენტი არ ირიცხება.

***ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო გარემოთი და დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიისათვის საჭირო რესურსით. ასევე, არ არის წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, შესაბამისად, ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც - ,,არ შეესაბამება“.***

ამასთან, დაწესებულებამ 2022 წლის 24 თებერვლის არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად (დანართად) წარმოადგინა ,,შესაბამისობის გეგმა“, რომლის მიხედვით, სასწავლო გარემოს შეცვლა და არსებული კომპიუტერების ჩანაცვლება, პროფესიული საგანმანათებლო სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი სპეციფიკაციის კომპიუტერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასრულდება 2022 წლის 02 მარტს. ასევე, აღნიშნული პერიოდისათვის უკვე შესყიდული იქნებ Cisco- ს მოწყობილობები, რომლის შესყიდვაზე ხელშეკრულება ვიზიტის პერიოდშიც იქნა წარმოდგენილი.

გეგმის თანახმად, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში - 2022 წლის 31 მარტს. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე ინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება. შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მითითებულ რესურსის შესყიდვის ერთ თვეში დასრულება საფრთხეს ვერ შეუქმნის პროგრამის განხორციელებას.

**შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება - როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ექსპერტები დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.**

2. პროგრამით გათვალისწინებულია 20 (ოცი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 3 (სამი)ზოგადი მოდულების, 8 ( რვა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების და 5 (ხუთი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. ასევე, 3 ( სამი) მასწავლებელი გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულების სწავლებისათვის. ამ ეტაპზე 32 (ოცდათორმეტი) პროფესიული სტუდენტიდან ,,ქართული ენა A2” მოდულს სწავლობს 14 (თოთხმეტი) პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ასევე, პროგრამაში ჩართული პირები არ არიან ჩართულნი უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებში, ზრდის პროფესიულ პროგრამაში მათი ჩართულობის მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაზე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოთხოვილი იქნა მიმდინარე მოდულებზე დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით მიმდინარეობდა 2 (ორი) ზოგადი და 4 ( ოთხი) პროფესიული მოდული. საათობრივი დატვირთვა გადანაწილებულია სამ პროფესიული მოდულისა და ორი ზოგადი მოდულის მასწავლებელზე. მიმდინარე პერიოდში პროგრამაში ჩართული პროფესიული მოდულების მასწავლებლებიდან მაქსიმალური დატვირთვა შეადგენდა 10 საკონტაქტო საათს ( თ.ზ).

*ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების გადანაწილება და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*

3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №25 დადგენილებით (ოქმი №3) დამტკიცებულია დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება). ასევე, განსაზღვრულია მოთხოვნები ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლებისათვის.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ასევე, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ.

***დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.***

4. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია უსდ- ს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ , რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2). პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება და სასურველია საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ამავე რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები.

ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკაში. რაც დასტურდება წარმოდგენილი დიპლომის ასლით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავე დროს არის მოქმედი დარგის სპეციალისტი. დასაქმებულია IT მენეჯერის პოზიციაზე. აღნიშნული დადასტურებულია რეზიუმეთი და მასთან ინტერვიუს გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რომ პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. უსდ- ს ახალქალაქის ლოკაციაზე არის ბიბლიოთეკა, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი (OpenBiblio) რომლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს, პროგრამის განმახორციელებელსა თუ პერსონალს.

ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ყველა რესურსი არის ელექტრონული. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა მათი ელექტრონული ვერსიების არსებობა და შესაბამისად სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობა. ასევე, გამოვლინდა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ,,კოდექსი“, რომელიც პერიოდულად ახლდება.

***ამასთან, პროგრამაში სასწავლო რესურსის უმრავლესობას არ უწერია, რომ არის ელექტრონული რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა მსგავს რესურსთან მიმართებაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ არის ელექტრონული რესურსი.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. და, შესაბამისად, ისგ დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ამ ეტაპისათვის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე სსსმ პირი არ ჩარიცხულა, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან *გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).*

7. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული ასევე, არაინტეგრირებული პროგრამებისთვის. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი ორთავე მიდგომისათვის არის 12 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, კომუნალურ გადასახედებს და ავტორიზაციის გადასახადს მოხმარდება.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში პროგრამაზე ირიცხება 32 პროფესიული სტუდენტი. მათგან 18 სწავლობს არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმის ფარგლებში, ხოლო 14 სტუდენტი გადის ქართული ენის მოდულს. შესაბამისად, დასტურდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

*დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 (ცვლილებებით - აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმი N6);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №25; 22.06. 2020 წ. ოქმი №3);
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით ( № 8; 18.05.2020 წ.) დამტკიცებული ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე;
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულებები (ტრენინგის თემატიკა და ფოტომასალა);
- შესყიდვის ხელშეკრულებები;
- სასაქონლო ზედნადებები;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი;
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის სტატისტიკა emis - ის ბაზის მიხედვით;
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგი;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი;
- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო რესურსის გადამოწმების შედეგი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- **სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის 24 თებერვლის №MES 3 22 0000193236 კორესპონდენციით წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.**

***შეფასება***:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს დადგენილება №37, ოქმი №8, 2015 წლის 5 აგვისტო;<br>ცვლ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №42, 2019 წლის 16 ივნისი;<br>ცვლ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №14, 2021 წლის 11 მარტი. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. ,,ბუღალტრული აღრიცხვის “ პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | **შეესაბამება** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილ ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქ. ახალქალაქში, აღმაშენებლის ქ.№119 -ში არსებულ კორპუსში. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს პროგრამა შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“, რადგან არ იყო დაკმაყოფილებული წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნები და დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა.

მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ( შესყიდვების ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები, ბალანსზე რიცხული რესურსის ჩამონათვალი), ასევე, ადგილზე დაათვალიერა სასწავლო გარემო და განახორციელა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებთან.

**,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №590342 გადაწყვეტილებით, ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს - 40 პროფესიულ სტუდენტს.**

დაწესებულება გეგმავს სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში ( 20-20 პროფესიული სტუდენტი).

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევისთვის გამოყოფილია A და B სასწავლო გარემო. განხორციელდა არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება. A და B გარემოსათვის დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი სრულად აქვს უზრუნველყოფილი. მათ შორის, კომპიუტერული კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღჭურვისათვის დაწესებულებამ გამოიყენა არსებული კომპიუტერული ტექნიკის რესურსი, ვინაიდან სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ არ არის დასრულებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის პროცედურა და ტექნიკა ვერ იქნა დაწესებულებისთვის მიწოდებული. აღნიშნული მატერიალური რესურსი უნივერსიტეტმა გამოყო საკუთარ ბალანსზე რიცხული ტექნიკის ფარგლებში, რომელიც დასაწყობებული იყო და არ გამოიყენებოდა სხვა პროგრამის სასწავლო მიზნებისთვის. ვიზიტის პერიოდში კომპიუტერებში დაინსტალირდა საბუღალტრო სასწავლო პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში მოდულის - პრაქტიკული პროექტი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უნივერსიტეტი გეგმავს როგორც საკუთარ ბაზაზე აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციაში, აღნიშნული დადასტურებულია სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს ,,ალპენ მილკს" შორის 2021 წლის 29 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმითა და ინტერვიუს გზით.

*ყოველივე აღნიშნული შესაბამისად, ექსპერტები მიჩნევენ, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

2. პროგრამით გათვალისწინებულია 10 (ათი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 6 (ექვსი) ზოგადი მოდულების და 4 (ოთხი) პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. მათ შორის, 4 (ოთხი) მასწავლებელი გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულების სწავლებისათვის. ამ ეტაპზე 8 (რვა) პროფესიული სტუდენტიდან ,,ქართული ენა A2" მოდულს სწავლობს 3 (სამი) პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ასევე, პროგრამაში ჩართული პირები არ არიან ჩართულნი უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებში, ზრდის პროფესიულ პროგრამაში მათი ჩართულობის მდგრადობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამაზე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოთხოვილი იქნა მიმდინარე მოდულებზე დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიმდინარეობდა 2 (ორი) ზოგადი და 2 ( ორი) პროფესიული მოდული. საათობრივი დატვირთვა გადანაწილებულია ორი პროფესიული მოდულისა და ორი ზოგადი მოდულის მასწავლებელზე. მიმდინარე პერიოდში პროგრამაში ჩართული პროფესიული მოდულების მასწავლებლებიდან მაქსიმალური დატვირთვა შეადგენდა 19 საკონტაქტო საათს ( მ. გ).

*ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების გადანაწილება და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*

3. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის №25 დადგენილებით (ოქმი №3) დამტკიცებულია დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V დონის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები/ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ასევე, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ვიზიტის პერიოდში მოდულების განმახორციელებელ პირებთან შედგა ინტერვიუ.

*დოკუმენტაციის ანალიზით და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*

4. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია უსდ- ს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ , რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2). პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება და სასურველია საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ამავე რეგულაციით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელა აქვს უმაღლესი განათლება. მისი სამუშაო გამოცდილება უკავშირდება როგორც საგანმანათლებლო, ასევე ბუღალტერიის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობას. ასევე, აქვს „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილებაც, ვინაიდან, გახლავთ „ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი რომელიც ქ. ახალციხეში ხორციელდება. ასევე, უძღვება ამავე პროგრამის პროფესიულ მოდულებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის რექტორის ინფორმაციით, აღნიშნულ პროგრამას უსდ ახალციხეში აღარ განახორციელებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად ახალქალაქში განხორციელდება.

პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს რომ პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. უსდ- ს ახალქალაქის ლოკაციაზე არის ბიბლიოთეკა, სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა მატერიალური სახით და გამოყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი ( OpenBiblio) რომლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს, პროგრამის განმახორციელებელსა თუ პერსონალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის ძირითადი რესურსი არის ელექტრონული. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა მათი ელექტრონული ვერსიების არსებობა და შესაბამისად სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობა. ასევე, გამოვლინდა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ,,კოდექსი“, რომელიც პერიოდულად ახლდება.

***ამასთან, პროგრამაში სასწავლო რესურსის უმრავლესობას არ უწერია, რომ არის ელექტრონული რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა მსგავს რესურსთან მიმართებაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ არის ელექტრონული რესურსი.***

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, როგორც სსსმ ან/და შშმ პირებისთვის, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა პროფესიული სტუდენტებისთვის. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია. და, შესაბამისად, ისგ დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრების შედეგად, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ ამ ეტაპისათვის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაზე სსსმ პირი არ ჩარიცხულა, რაც ცალსახად არსებული სერვისის არ გამოყენებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნულ წესთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან ***გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ ( საჭიროების შესაბამისად).*

7. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი არის 15 პროფესიული სტუდენტი.

ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, კომუნალურ გადასახედებს და ავტორიზაციის გადასახადს მოხმარდება.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამაზე ირიცხება 8 პროფესიული სტუდენტი. მათგან სამი პროფესიული სტუდენტი სწავლობს ქართული ენის მოდულს. შესაბამისად, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით ჯგუფში სწავლობს 5 პროფესიული სტუდენტი.

პასუხისმგებელ პირთან განხორციელდა ინტერვიუ, თუ რამდენად იქნება საკმარისი 5 პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის. მისი განმარტებით, პროგრამის განხორციელებას მდგრადობა არ შეექმნება ვინაიდან, ფინანსდებიან ბიუჯეტიდან. დაფინანსების წესის მიხედვით 5 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მიიღებენ განსხვავებულ ვაუჩერულ დაფინანსებას. ასევე, ვაუჩერული დაფინანსების არასაკმარისობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეუძლიათ მიმართონ სამინისტროს. ასევე, უნივერსიტეტსაც აქვს რესურსი დაფაროს მაგ. კომუნალური ხარჯები. შესაბამისად, პროგრამის ფინანსურ მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება.

ამასთან, ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის ბიუჯეტი და დადგინდა, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-9[2] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსების პირობები, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე გაიცემა 9[1] მუხლით დადგენილი წესით გაანგარიშებული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერის დაფინანსების ოდენობის 1.5 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა და ასევე, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ან მაღალმთიან დასახლებაში ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა იანგარიშება დადგენილი ოდენობისაგან განსხვავებულად მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის 1, 25 კოეფიციენტზე გადამრავლებით. ,, მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილების მიხედვით, მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყველა დასახლება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად დადგენილი კოეფიციენტებით ( 1,5 და 1, 25) დაანგარიშების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ბიუჯეტი იქნება უფრო მაღალი და შესაბამისად პროგრამის რენტაბელობის ზღვარიც დაიწევს და პროგრამაც ფინანსურად უფრო მდგრადი გახდება სტუდენტების მცირე ოდენობის შემთხვევაშიც.

*ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არსებული დაფინანსების წესის ფარგლებში უზრუნველყოფილია მისი ფინანსური მდგრადობა. ამასთან, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს პროფესიული სტუდენტის ვაუჩერულ ოდენობას და ვაუჩერი დაიანგარიშოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის №244 დადგენილების მე-$9^{2}$ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, რაც დადებით გავლენას მოახდენს პროგრამის ბიუჯეტსა და რენტაბელობის ზღვარზეც.*

*დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*

- სსიპ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს ალპენ მილკს შორის 2021 წლის 29 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი" - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 (ცვლილებებით - აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის N26 დადგენილება, ოქმი N6);
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №25; 22.06. 2020 წ. ოქმი №3);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ - დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (№ 10 18. 05. 2020 წ. ოქმი №2);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე;
- ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებლებისათვის ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულებები (ტრენინგის თემატიკა და ფოტომასალა);
- ბალანსზე რიცხული მატერიალური რესურსი;
- შესყიდვის ხელშეკრულებები;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი;
- ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის სტატისტიკა emis - ის ბაზის მიხედვით;
- ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი;
- ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო რესურსის გადამოწმების შედეგი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;

*შეფასება*:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1. ვიზიტის დღის წესრიგი

25.02.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: